

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცხეთის ფილიალი

**ECTS-ის სისტემა თსუ მეცხეთის  
ფილიალში**

(საინფორმაციო ბუკლეტი)

ახალციხე  
2007წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. რა არის ECTS-ი, კრედიტი .....	3
1.1. ECTS-ის ისტორიიდან .....	3
1.2. ECTS-ის დღევანდელი მნიშვნელობა .....	3
1.3. ECTS-ის უპირატესობა .....	4
1.4. ECTS-ის კრედიტი .....	4
1.4.1. კრედიტი სტუდენტისთვისაა .....	4
1.4.2. კრედიტის მიღება .....	4
1.4.3. კრედიტების სისტემა საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზეა გათვლილი .....	5
1.4.4. კრედიტების განაწილება–მთავარი მიზანია შევიძუშავოთ სქემა, რომელიც სტუდენტების დატვირთვის რეალურ განსაზღვრას უზრუნველყოფს .....	5
2. საკრედიტო სისტემა თსუ მესხეთის ფილიალში ....	8
2.1 საგნის კრედიტის გამოყვანის სხვადასხვა გზა ....	9
2.2. სტუდენტთა შეფასების ახალი სისტემა .....	12
2.3. ინსტრუქცია სტუდენტთა შეფასების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით .....	14
3. სილაბუსი .....	18
3.1 როგორ დავწეროთ სილაბუსი .....	18
3.2. სილაბუსის ფორმა .....	24
3.3. სილაბუსის შემოწმების ფორმა .....	25
4. ტერმინთა განმარტება .....	27
5. დანართები .....	34
6. სტუდენტების აკადემიური რეგისტრაცია .....	37

## შ ე ს ა მ ა ლ 0

ECTS-ის სისტემა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ცოტა ხნის წინ იქნა შემოღებული. მისი დანერგვის პროცესი კიდევ გრძელდება. აღნიშნული სისტემა სიახლეა და მისი გამოყენება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. აუცილებელია უმაღლესი სკოლის ყველა მასწავლებელი იცნობდეს ECTS-ის ძირითად მახასიათებლებს, ანუ იცოდეს რას, როგორ და რისთვის უზრუნველყოფს კრედიტების ტრანსფერისა და დავროვების ევროპული სისტემა.

წინამდებარე ბროშურის დანიშნულებაა დაეხმაროს თსუ მესხეთის ფილიალის აკადემიურ პერსონალს ECTS-ის არსში გარკვევაში. შევეცადეთ მოკლედ და მარტივად გადმოგვეცა ყველაფერი, რაც უმაღლესი სკოლის მასწავლებელს სწავლების პროცესში შეიძლება დასჭირდეს.

## 1. რა არის ECTS-ი, კრედიტი

### 1.1. ECTS – ის ისტორიიდან:

ECTS ქართულად ნიშნავს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას. იგი როგორც საპილოტე, ე.ი. საცდელი სქემა 1989 წელს შეიქმნა, ცნობილი პროგრამის – ერაზმუსის (Erasmus) ფარგლებში. ამ სისტემის მიზანი იმუამად იყო მობილური სტუდენტისათვის, ე.ი. სტუდენტისათვის, რომელიც სწავლას სხვა უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს, საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის აღიარების გაადვილება. ანუ ECTS-ის მეშვეობით ხდებოდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გავლილი სასწავლო კურსების ურთიერთ აღიარება, შესაბამისი კრედიტების ტრანსფერი – გადატანა. როგორც ტრანსფერის სისტემა, ECTS-ი გავრცელებულია ოცდაათზე მეტ ქვეყანაში, დანერგილია ათასზე მეტ უმაღლეს სასწავლებელში.

### 1.2. ECTS-ის დღევანდელი მნიშვნელობა

ECTS-ი ამჟამად მხოლოდ კრედიტების ტრანსფერს არ მოიცავს, იგი ასევე არის კრედიტების დაგროვების საშუალება. დასახელება მის ამ, ბოლოსხენებულ, მახასიათებელსაც აღნიშნავს – კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა. ECTS-ს ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ერთ-ერთ ქვაკუთხედად აღიარებენ.

ECTS-ი ბევრგან კანონითაა მიღებული ქვეყნის შიგნით კრედიტების დაგროვების სისტემად, ზოგან იგი აკრედიტაციის აუცილებელი პირობაა, ზოგან ამ სისტემის დაწერვა ახლა მიმდინარეობს. სისტემის გავრცელების არეალი მხოლოდ ევროპით აღარ შემოიფარგლება, მასზე დაფუძნებული სქემები სხვა კონტინენტებზეც იქმნება.

საქართველოს კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ” (მუხლი 87, პუნქტი 8), ჩვენს ქვეყანაში კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე (ECTS) გადასვლა

2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნდა დასრულდეს.

### ***1.3. ECTS-ის უპირატესობა***

ECTS-ის მეშვეობით ადვილდება სასწავლო პროგრამების გაგება და ურთიერთშედარება. ამ სისტემის გამოყენება ნებისმიერი ტიპის პროგრამისათვის შეიძლება; იგი ოპტიმალურია “მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის” შემთხვევაშიც. ეს სისტემა ემსახურება როგორც მობილურ, ისე არამობილურ სტუდენტებს, მისი გამოყენება კრედიტების დასაგროვებლად შესაძლებელია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით, ისე ერთი სასწავლებლიდან მეორეში “მოგზაურობისთვისაც”. ECTS-ი ოპტიმალურია სტუდენტების გადაადგილებისათვის ქვეყნებს, ქალაქებს, რეგიონებს, სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებს შორის. სისტემა ითვალისწინებს დამოუკიდებელ სწავლასაც, იგი სტუდენტს მუშაობის საშუალებასაც აძლევს.

## **1.4. ECTS-ის კრედიტი**

### ***1.4.1. ECTS-ის კრედიტი სტუდენტისთვისაა***

ECTS-ი სტუდენტზეა ორიენტირებული, რაც ნიშნავს, რომ კრედიტის შინაარსი განისაზღვრება სტუდენტის (და არა ლექტორის) აკადემიური დატვირთვის მიხედვით; იგულისხმება სტუდენტის დატვირთვა, რომელიც სასწავლო პროგრამის მიზნის მისაღწევად საჭირო. საკონტაქტო საათების (ლექცია-სემინარები და ა.შ.) რაოდენობა არაა საფუძველი კრედიტის განსაზღვრისათვის – სტუდენტის დატვირთვა მხოლოდ საკონტაქტო საათებს არ ეფუძნება. კრედიტი მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობასაც.

### ***1.4.2. კრედიტის მიღება***

ECTS-ის კრედიტების მიღება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმატებით შესრულდება

მასში მოთხოვნილი სამუშაო და იგი მიიღებს სწავლის შედეგის შესაბამის, დადებით შეფასებას. 'სწავლის შედეგი' არის კომპეტენციების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს ამ ცოდნის გამოყენებით სწავლების დასრულების შემდეგ.

*1.4.3. კრედიტების სისტემა საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე გათვლილი*

კრედიტები სხვადასხვა კომპონენტზე ნაწილდება საშუალო მოსწრების სტუდენტისათვის რეალური დატვირთვის საფუძველზე, ე.ი. კრედიტი სწორად დაგეგმილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისათვის სწავლის მოსალოდნელი შედეგი მიღწევადი იქნება.

სწორედ საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტი-სათვის საჭირო დროის სწორად შეფასებაზე დაფუძნებული პროგრამაა ოპტიმალური. იგი ყველა სტუდენტს არიდებს ზედმეტად რთულ ან ზედმეტად მარტივ, უინტერესო პროგრამას.

*1.4.4. კრედიტების განაწილება – მთავარი მიზანია შევიმუშავოთ სქემა, რომელიც სტუდენტების დატვირთვის რეალურ განსაზღვრას უზრუნველყოფს*

ECTS-ის მიხედვით დასწრებული სწავლების ფორმის სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტით განისაზღვრება. სემესტრების არსებობის შემთხვევაში ეს გულისხმობს, რომ სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი; ტრიმესტრის არსებობისას, თითოეული ტრიმესტრი 20 კრედიტს მოიცავს. ევროპაში სტუდენტის დატვირთვა სრული სასწავლო პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაახლოებით 1500-1800 საათს შეადგენს; შესაბამისად, ერთი კრედიტი 25-30 საათს უდრის. საქართველოში,

როგორც წესი, კრედიტი 25 სამუშაო საათისაგან შედგება და წლიური დატვირთვა 1500 საათია, სასწავლო წელი სემესტრებისაგან შედგება და სემესტრული დატვირთვა 30 კრედიტს მოიცავს.

კრედიტების დრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის ნაწილდება (მოდულები, კურსები, სამუშაო პრაქტიკა და ა.შ.). კრედიტების განაწილების ეს სქემა გამოიყენება უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

ევროპაში უმაღლესი განათლების პროგრამაში სტუდენტთა დატვირთვის განსაზღვრის რამდენიმე სქემაა შემუშავებული. წარმოვადგენთ ერთ-ერთს.

სქემა სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშების ოთხ ეტაპს მოიცავს:

*ა) მოდულების/კურსების შემოღება*

იგულისხმება მოდულებზე/კურსებზე დამყარებული სისტემის შემოღება. მოდულებზე დამყარებულ სისტემაში კურსის/მოდულის დატვირთვა ფიქსირებულია. მაგ., 5 კრედიტი ან მისი ჯერადი (10, 15 და ა.შ.). მოდულის დატვირთვის განსაზღვრა გულისხმობს ნათლად განისაზღვროს რა ისწავლება მოდულის ფარგლებში და რამდენი დროა საჭირო შედეგიანი სწავლებისათვის.

*ბ) სტუდენტის დატვირთვის შეფასების განსაზღვრა*

მოდული გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

– *კურსის ტიპები*: ლექცია, სემინარი, კონსულტაცია, საველე პრაქტიკა და ა. შ.

– *სასწავლო საქმიანობის ტიპები*: ლექციებზე დასწრება, ნაშრომის წერა, წიგნებისა და სტატიების კითხვა,

– *შეფასების ტიპები*: ზეპირი გამოცდა, წერიითი გამოცდა, ტესტი, საველე პრაქტიკის ანგარიში, უწყვეტი შეფასება და ა. შ.

ამა თუ იმ კურსის//მოდულის დასრულებისათვის საჭირო დრო მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს. იგი, ცხადია, კურსისათვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას უნდა ემთხვეოდეს. მასწავლებლის მოვალეობაა ამ დროის ეფექტურად გამოყენების სტრატეგიის შემუშავება.

*გ) განსაზღვრული დატვირთვის შემოწმება სტუდენტის მიღწევების საფუძველზე.*

საამისოდ არსებული მეთოდებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება კითხვარები, რომლებსაც სტუდენტები ავსებენ სწავლის განმავლობაში ან კურსის დასრულების შემდეგ.

*დ) დატვირთვისა და საგანმანათლებლო საქმიანობის კორექტირება.*

კორექტირება შეიძლება საჭირო გახდეს: 1. კურსის შინაარსის განახლების გამო; 2. ამის აუცილებლობა შეიძლება გვიჩვენოს მონიტორინგმა.

ნებისმიერ შემთხვევაში (იმის მიუხედავად, გამოიყენება თუ არა მოდულები სისტემაში) კორექტირება საბოლოო ჯამში გულისხმობს სასწავლო მასალის რაოდენობის შეთანხმებას სწავლის, სწავლების და შეფასების ტიპებთან.

სტუდენტის დატვირთვის დადგენაში მონაწილეობენ: 1. მასწავლებელი – იგი გეგმავს მოდულს, ე.ი. განსაზღვრავს სწავლისათვის საჭირო დროსაც; 2. თავად სტუდენტი – იგი აღნიშნავს მოდულზე დახარჯული საათების რაოდენობას.

## 2. საკრედიტო სისტემა თსუ მესხეთის ფილიალში

თსუ მესხეთის ფილიალში ECTS-ი, კრედიტების და-გროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, უკვე დანერგილია.

*კრედიტი, განმარტების თანახმად, წარმოადგენს სტუ-დენტის დატვირთვის საზომ ერთეულს. კრედიტით იზო-მება სტუდენტის მუშაობის მოცულობა, რომელიც მას გარკვეული კომპეტენციის შექენისთვის, ანუ მასალის ათვისების და ამა თუ იმ ტიპის დავალების შესრულე-ბისთვის სჭირდება.*

საკრედიტო სისტემის დანერგვა ითვალისწინებს, რომ საგანმანათლო პროგრამები, სასწავლო პროცესი სტუ-დენტზე იყოს ორიენტირებული, იგი სტუდენტის აკადე-მიურ დატვირთვას ემყარება. სტუდენტის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების საფუძველი სწავლების მოსალოდნელი შედეგებია, სწავლების შედეგებითვა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, შესაბამისად, კრედიტების დაანგარიშება ხდება საგან-მანათლებლო პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის საფუძველზე.

ECTS პრინციპის მიხედვით დასწრებული სწავლების ფორმის სტუდენტის დატვირთვა სრული სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტით განისაზღვრება რაც 1500 საათს შეადგენს; ერთი კრედიტი 25 საათს უდრის. (1 კრედიტი = 25 სთ; ერთი აკადემიური წელი  $25 \times 60 = 1500$  სთ.).

სემესტრში კრედიტების რაოდენობა 30-ით განისა-ზღვრება, რაც სტუდენტის დატვირთვისთვის 750 საათს ნიშნავს (ამაში, ცხადია, შედის როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელი მუშაობა). 2005-6 ს/წლიდან სტუ-დენტის სააუდიტორიო დატვირთვა განისაზღვრა კვი-რაში 20 საათით რაც სემესტრში 300 საათს ქმნის, ხოლო სტუდენტის და-მოუკიდებელი სამუშაო 450 საათს შეადგენს.

ფილიალის საბაკალავრო პროგრამებით სტუდენტის ოთხწლიანი დატვირთვა 240 კრედიტია: აქედან სააუდიტორიო მუშაობის წილია – 2400 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის – 3600 საათი.

**2.1. საბნის კრედიტის გაანგარიშების სხვადასხვა ბზა:**

წარმოვადგენთ კრედიტის გაანგარიშების რამდენიმე მაგალითს.

**ა) სხვადასხვა სპეციალობის თეორიული კურსებისათვის**

**I ვარიანტი (სააუდიტორო მუშაობა კვირაში 3-ჯერ)**

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.

ლექცია 1 საათი = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა გამოცდა/ რეფერატი = 35 საათი მუშაობა.

ლექცია კვირაში 3-ჯერ (ანუ 3 სალექციო საათი და 3 საათი დამოუკიდებელი მუშაობა) = 3+3=6 სთ.

$$6 \times 15 = 90 + 35 = 125$$

$$125 : 25 = 5 \text{ კრედიტი.}$$

**II ვარიანტი (სააუდიტორო მუშაობა კვირაში 4-ჯერ)**

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.

ლექცია 1 საათი = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა. გამოცდა/ რეფერატი = 15 საათი მუშაობა.

ლექცია კვირაში 4-ჯერ (ანუ 4 სალექციო საათი და 4 საათი დამოუკიდებელი მუშაობა) = 4+4=8 სთ.

$$8 \times 15 = 120 + 15 = 135$$

$$135 : 25 = 5,4 = 5 \text{ კრედიტი.}$$

**ბ) უცხო ენის კრედიტების განაწილება**

**I ვარიანტი (უცხო ენა სპეციალისტებისათვის კვირაში 12 საათი - 4 ლექცია და 8 პრაქტიკუმი)**

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.  
ლექცია 1 საათი = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.  
პრაქტიკული სამუშაო = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

გამოცდა = 20 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

ლექცია კვირაში 4-ჯერ (ანუ 4 სალექციო საათი და 4 საათი დამოუკიდებელი მუშაობა) + 8 საათი პრაქტიკული სამუშაო =  $4+4+8=16$  სთ.

$$16 \times 15 = 240 + 20 = 260$$

$$260 : 25 = 10,4 = 10 \text{ კრედიტი.}$$

**II ვარიანტი (უცხო ენა სპეციალისტებისათვის კვირაში 10 საათი)**

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.

ლექცია 1 საათი = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა  
პრაქტიკული სამუშაო = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

გამოცდა = 30 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

ლექცია კვირაში 4-ჯერ (ანუ 4 სალექციო საათი და 4 საათი დამოუკიდებელი მუშაობა) + 6 საათი პრაქტიკული სამუშაო =  $4+4+6=14$  სთ.

$$14 \times 15 = 210 + 30 = 240$$

$$240 : 25 = 9,6 = 10 \text{ კრედიტი.}$$

**III ვარიანტი (უცხო ენა სპეციალისტებისათვის კვირაში 8 სთ)**

ლექცია + 4 პრაქტიკული (ან 2 ლექცია + 6 პრაქტიკული).

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.

ლექცია 1 საათი = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.  
პრაქტიკული სამუშაო = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

გამოცდა = 20 საათი მუშაობა.

ლექცია კვირაში 4-ჯერ (ანუ 4 სალექციო საათი) + 4 საათი (დამოუკიდებელი) სამუშაო =  $4+4=8$  სთ.

$$8 \times 15 = 120 + 20 = 140$$

$$140 : 25 = 5.6 = 5 \text{ კრედიტი.}$$

*გ) უცხო ენა არასპეციალისტებთან*

$$\text{უცხო ენა კვირაში 4 სთ.} = 2 \text{ ლექცია} + 2 \text{ პრაქტიკული} \\ = 5 \text{ კრედიტი.}$$

1 კრედიტი = სტუდენტის მუშაობის 25 საათი.

ლექცია 1 საათი = სახლში 1 საათი მუშაობა.

პრაქტიკული სამუშაო = 1 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.

გამოცდა = 20 საათი მუშაობა.

ლექცია კვირაში 2-ჯერ (ანუ 2 სალექციო საათი და 4 საათი დამოუკიდებელი მუშაობა) =  $2+2+2=6$  სთ.

$$6 \times 15 = 90 + 35 = 125$$

$$125 : 25 = 5 \text{ კრედიტი.}$$

## 2.2. სტუდენტთა შეფასების ახალი სისტემა

შეფასების ხუთქულიანი სისტემიდან უფრო ობიექტურ, 100 ქულიან სისტემაზე გადასვლა სტუდენტთა წარმატებების უკეთ დიფერენცირების საშუალებას იძლევა.

სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება სხვადასხვა კომპონენტით, რომელთა შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს საგნის წამყვანი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ფაკულტეტთან შეთანხმებით. ამ კომპონენტებში აუცილებლად უნდა აისახოს სტუდენტის მუშაობა სემესტრის/აკადემიური წლის განმავლობაში, უამისოდ აზრს კარგავს კრედიტების სისტემისა და სტუდენტის 20 საათიანი სააუდიტორიო დატვირთვის შემოღება.

სტუდენტის შეფასების განმსაზღვრელი კომპონენტების რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე სამი მაინც, მათგან ერთი სავალდებულო საბოლოო გამოცდაა, რომლის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 40%-

ს. (კომპონენტების მაქსიმალური ქულების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 100 -ს).

აუცილებელია ლექტორის მიერ დროულად განისაზღვროს საბოლოო გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიზანმიმართული მუშაობა (იხ. მაგალითები).

შეფასების კომპონენტების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: საგნის სპეციფიკა და მისი სწავლების ფორმატი (ლექცია, ლექცია+სემინარი, ლექცია+სემინარი+ლაბორატორიული/პრაქტიკუმი და ა.შ.), სწავლების საფეხური (ბაკა-ღაგრიადი თუ მაგისტრატურა), ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა და სხვა.

შეფასების სისტემა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დასწრებას. ეს განსაზღვრულია 'ინსტრუქციაში საბაკალავრო პროგრამების მომზადებისათვის'. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ოპტიმალურად მიიჩნევს სტუდენტების დასწრების ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვროს მინ. 5 და მაქს. 20 %-ით. სწავლების და შესაბამისად, შეფასების კომპონენტების ფორმატს განსაზღვრავს საგნის წამყვანი პროფესორი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციაა შეფასების წერითი ფორმის აუცილებლად გამოყენება ყველგან, სადაც საგნის სპეციფიკამის საშუალებას იძლევა. ზეპირი შეფასების ხვედრითი წილი არ უნდა იყოს საბოლოო შეფასების ნახევარზე მეტი.

შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს შუალედური გამოცდა. იგი შეიძლება ჩატარდეს სასწავლო კურსის გარკვეული თემების გავლის შემდეგ. რეკომენდირებულია კურსის განმავლობაში ერთი ან ორი შუალედური გამოცდის ჩატარება. შუალედური გამოცდა ფასდება 5 – 25 ქულით.

ამ ზოგადი საუნივერსიტეტო ჩარჩო-მოთხოვნების ფარგლებში ცალკეული სპეციალობების, საგნების/ მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მათი რაოდენობის, ხვედრითი წილის განსაზღვრა ფაკულტეტების კომპეტენციაა.

კრედიტის მინიჭების პირობა საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის – კრედიტის მისაღებად სტუდენტმა 100-დან მინიმუმ 51 ქულა უნდა დააგროვოს.

### **2.3. ინსტრუქცია სტუდენტთა შეფასების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით**

თსუ რექტორის №219 ბრძანების თანახმად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოდებულია სტუდენტთა შეფასების ახალი, ასქულიანი სისტემა სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა კურსზე.

100 ქულა სტუდენტის მაქსიმალური საბოლოო შეფასებაა მოცემული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლა კურსის გამეორების (ხელახლა გავლის) გარეშე. 41 ქულაზე ნაკლების დაგროვება ნიშნავს, რომ სტუდენტმა უნდა გაიმეოროს კურსი.

შეფასების ახალ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასე გამოიყურება:

<b>ქულები</b>	<b>შეფასება</b>
91-100	ფრიადი
81-90	ძალიან კარგი
71-80	კარგი
61-70	საშუალო
51-60	დამაკმაყოფილებელი

41-50 არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

0-40 სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტების მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

### **ქვემოთ წარმოვადგენთ შეფასებათა**

**მაგალითებს ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვის.**

#### **1. სწავლების ფორმატი: ლექცია/სემინარი**

- ლექციაზე დასწრება (5-დან 20%-მდე)
- სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა (სემინარი ან პრაქტიკუმი შეიძლება იყოს ყოველკვირეული, ყოველთვიური, სემესტრული და ა.შ.)

- საკონტროლო წერის/კოლოქვიუმის შედეგი.
- წერითი ნამუშევრის (რეფერატის) შესრულება.
- ბჭკარედული/მხატვრული თარგმანის შესრულება.
- საბოლოო გამოცდა (მხოლოდ ზეპირი გამოცდა იშვიათადღა ტარდება; ოპტიმალურია: წერა, წერა+ზეპირი, რეფერატი+ზეპირი).

*მაგალითები:*

- სწავლების ფორმატი: ლექცია+სემინარი;
- ლექციაზე დასწრება – 10%;
- სემინარებში/პრაქტიკუმში მონაწილეობა – 25%;
- საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგები – 25%;
- საბოლოო გამოცდა: წერითი – 20%; ზეპირი – 20%.

სულ: 40%.

ან:

- სწავლების ფორმატი: ლექცია+სემინარი;
- ლექციაზე დასწრება – 10%;
- სემინარებში/პრაქტიკუმში მონაწილეობა – 25%;
- საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგები - 25%;
- საბოლოო გამოცდა – 20% წერითი; 20% - ზეპირი.

სულ – 40%;

ან:

- ლექციებზე დასწრება – 10%;
- სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა და მისი შედეგები – 25%;
- საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგები – 25%;
- საბოლოო გამოცდა: წერითი – 30%; ზეპირი – 10 %.

ან:

- ლექციაზე დასწრება – 10%;
- სემინარში/პრაქტიკუმში მონაწილეობა – 25%;
- საკონტროლო წერაში მონაწილეობა და მისი შედეგები – 25%;
- ბჭკარედული/მხატვრული თარგმანის ან რეფერატის შესრულება – 20%;
- საბოლოო გამოცდა – 30%.

ან:

- ლექციაზე დასწრება – 10%;
- სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა - 30%;
- პჭკარედული/მხატვრული თარგმანის ან რეფერატის შესრულება – 20%;
- საბოლოო გამოცდა – 40%.

## 2. სწავლების ფორმატი: ლექცია

(რადგანაც სწავლება მხოლოდ სალექციო კურსს ითვალისწინებს და, შესაბამისად, ცოდნა სემინარზე არ მოწმდება, სასურველია მისი პერიოდული შეფასება წერითი სამუშაოების მეშვეობით).

- ლექციაზე დასწრება – 10%;
- საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგები – 25%;
- წერითი სამუშაოს (რეფერატის) შესრულება – 25%;
- საბოლოო გამოცდა – 40%.

ან:

- ლექციაზე დასწრება – 20%;
- საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგები – 40%;
- საბოლოო გამოცდა – 40%.

### *სტუდენტის გამოცდაზე დასწრების წინაპირობები:*

წინაპირობები შეიძლება განისაზღვროს ზოგადად (გარკვეული მოთხოვნების მითითებით) და კონკრეტულად (ქულათა რაოდენობის მითითებით, რომლის დაგროვებაც სტუდენტს მოეთხოვება, იმისათვის, რომ გამოცდაზე იქნას დაშვებული).

მაგალითად, სტუდენტის გამოცდაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება განისაზღვროს ამგვარად:

ა. სტუდენტი საბოლოო გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ იგი დაესწრო ლექციების ორ-მესამედს და მონაწილეობა მიიღო სემინარების (პრაქტიკუმების) ორ-მესამედში, მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში, წარმოადგინა წერიტი ნამუშევარი/რეფერატი/თარგმანი და სხვა.

ან:

ბ. სტუდენტი საბოლოო გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან სემინარებში/პრაქტიკუმებში, საკონტროლო წერაში/კოლოქვიუმში მონაწილეობით 40-დან დააგროვა 25 ქულა და სემესტრის ბოლოს მის მიერ წარმოდგენილი წერიტი ნამუშევარი/რეფერატი/თარგმანი შეფასდა შესაძლო 20-დან მინ. 10 ქულით.

პედაგოგმა სილაბუსში უნდა მიუთითოს საბოლოო გამოცდის ის ქულა, რომელზე დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდას აბარებს განმეორებით.

### 3. სილაბუსი

#### 3.1. როგორ დავწეროთ სილაბუსი

სილაბუსი სასწავლო პროცესის ძირითადი ელემენტია. ის განსაზღვრავს საგნის სწავლების გეგმას და, გარდა ამისა, აწესრიგებს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობას – სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტი სილაბუსის მეშვეობით იგებს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე მხრივ, სილაბუსის მეშვეობით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეუძლია შეამოწმოს ლექტორის აკადემიური მუშაობის ხარისხი. და ბოლოს, სილაბუსი ქმნის თავად საგნის სწავლების განვითარების წინაპირობებს.

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები და სილაბუსების ნიმუშები გაგიადვილებთ სილაბუსის შედგენას უნივერსიტეტში მიღებული ფორმატის მიხედვით.

(სილაბუსები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა წარედგინოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე).

#### სასწავლო კურსის დასახელება

მიუთითეთ სასწავლო კურსის სრული სახელწოდება; დარწმუნდით რომ ცხრილში თქვენი საგნის სახელწოდება სწორადაა ასახული.

#### სასწავლო კურსის კოდი

კოდის მინიჭება სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის ფუნქციაა;

კურსის კოდი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების გაადვილებისთვისაა აუცილებელი.

#### სასწავლო კურსის სტატუსი

მიუთითეთ ვისთვის არის ეს საგანი გათვალისწინებული: ფაკულტეტი, სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), კურსი/სემესტრი; მიუთითეთ, სავალდებულოა თუ არჩევითი ეს სასწავლო კურსი.

## სასწავლო კურსის ხანგრძლივობა მიუთითეთ სემესტრის რაოდენობა

### ECTS –სასწავლო კურსის კრედიტები

მიუთითეთ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;

მიუთითეთ საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობაზე გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

საკონტაქტო საათები ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობების (ლექცია, სემინარი და ა.შ.) საათებია; კრედიტის სხვა საათები სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისათვის რჩება, ე.ი. დამოუკიდებელ მუშაობაზე გათვალისწინებული საათების გამოითვლისათვის თქვენი საგნის კრედიტების რაოდენობა უნდა გაამრავლოთ 25-ზე და გამოაკლოთ საკონტაქტო საათები.

მაგ., საგნის კრედიტების რაოდენობაა 5; სემესტრის განმავლობაში ტარდება 15 ერთსაათიანი ლექცია და 15 ორსაათიანი სემინარი, ე.ი. საკონტაქტო საათების რაოდენობა იქნება  $15 + 15 \times 2 = 45$ . დამოუკიდებელი მუშაობის საათები ასე დაითვლება:  $(5 \times 25) - 45 = 80$ .

კრედიტი სტუდენტის დატვირთვის საზომი ერთეულია. კრედიტით იზომება სტუდენტის მუშაობის მოცულობა, რომელიც მას გარკვეული კომპეტენციის შექმნისათვის, ანუ მასალის ათვისების, ამა თუ იმ სახის დავალების შესრულებისათვის სჭირდება. ECTS-ის დანერგვა ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები და მთელი სასწავლო პროცესი სტუდენტზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან-ნაც ის სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას ემყარება (იხ. ზემოთ 14.1). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგულისხმება სტუდენტის როგორც სააუდიტორიო დატვირთვა (ლექცია-სემინარები), ისე დამოუკიდებელი მუშაობა (საშინაო დავალებები, გამოცდისათვის მზადება და ა.შ.). მოკლედ, სტუდენტის დატვირთვა ECTS-ის მიხედვით არის დრო, რომელიც საჭიროა ნებისმიერი ტიპის სასწავლო

საქმიანობის განხორციელებისათვის, მაგ., ლექციაზე დასწრება ან გამოცდების მომზადება.

ნებისმიერი კურსის/მოდულის დაგეგმვისას საერთო მოთხოვნაა, რომ იგი გათვლილი იყოს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე (იხ. ზემოთ 1.4.3.).

### **ლექტორი**

მიუთითეთ ლექტორის სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი (ფაკულტეტი, დეპარტამენტი), საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, e-mail). თუ სასწავლო კურსის განხორციელებაში რამოდენიმე ლექტორი/ მასწავლებელია ჩართული, ეს ინფორმაცია ყველას შესახებ უნდა იქნეს მითითებული. სტუდენტს უნდა შეეძლოს კონსულტაციისთვის ლექტორთან დაკავშირება, ამიტომ სასურველია მიუთითოთ, როდის არის თქვენთვის მოსახერხებელი სტუდენტების მიღება სასწავლო კურსთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

### **სასწავლო კურსის მიზანი**

მოკლედ აღწერეთ კურსის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ეს ნაწილი ზოგად წარმოდგენას უნდა იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რისთვის არის ამ კურსის შესწავლა საჭირო.

### **სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები**

მიუთითეთ რა ცოდნას უნდა ფლობდეს სტუდენტი, რომ ეს სასწავლო კურსი აითვისოს, რომელი კურსები უნდა ჰქონდეს უკვე გავლილი, რომ დაიშვას ამ კურსზე. თუ სასწავლო კურსი იკითხება ბაკალავრიატის I/II სემესტრში, ცხადია, მისი შესწავლის წინაპირობა იქნება მხოლოდ საშუალო სკოლის მასალა. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ წინაპირობა საერთოდ არც კი მიუთითოთ.

**სასწავლო კურსის ფორმატი**  
მიუთითეთ რა ფორმატით მიმდინარეობს ამ  
კურსის სწავლება: ლექცია /სემინარი/პრაქტიკუმი/  
ლაბორატო-რიული სამუშაო და ა.შ.

**სასწავლო კურსის შინაარსი**  
ჩამოთვალეთ ლექციების/სემინარების თემები შესა-  
ბამისი ლიტერატურის მითითებით; შესაძლებლობის  
ფარგლებში მიუთითეთ მეცადინეობის ცხრილი (დრო  
და აუდიტორია).

**შეფასება**  
მიუთითეთ შეფასების ფორმები: კოლოქვიუმი, წერიტი  
(ზეპირი) გამიკითხვა, პრეზენტაცია და ა. შ. აღნიშნეთ,  
კურსის განმავლობაში რამდენი და რა ფორმის (ზეპირი,  
წერიტი) შუალედური შეფასების ჩატარდება და რა  
გავლენა ექნება ამას საბოლოო გამოცდაზე დაშვების  
წინაპირობები. მაგ., კოლოქვიუმების აუცილებლად  
შესრულება, სემინარების ჩაბარება და ა.შ. მიუთითეთ  
კრიტე-რიუმები შეფასების ყოველი კონკრეტული  
ფორმისათვის. მაგ., რამდენი კითხვა იქნება შუალედური  
შეფასების ტესტში, რამდენი ქულით ფასდება თითოეული  
სწორი პასუხი და ა.შ.

გაითვალისწინეთ, რომ შეფასების შესახებ ინფორ-  
მაცია სტუდენტებს ყველაზე უფრო მეტად აინტერესებთ,  
ამიტომ იგი მაქსიმალურად დეტალურად უნდა იქნეს  
აღწერილი, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობა.

ცხრილის სახით მიუთითეთ საბოლოო შეფასე-  
ბისათვის თითოეული ასპექტის ხვედრითი წილი. მაგ.:

დასწრება	10%
კოლოქვიუმში მონაწილეობა	30%
პრეზენტაცია სემინარზე	30%
საბოლოო გამოცდა	30%
საბოლოო შეფასება	100%

(ეს მხოლოდ მაგალითია. შეფასების პროცენტული განაწილება ყოველი სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად უნდა იქნეს მოცემული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით)

გაითვალისწინეთ საერთო საუნივერსიტეტო წესი – დასწრების კომპონენტის ხვედრითი წილია 5-20%, საბოლოო გამოცდის წილი – მაქსიმუმ 40%.

### სავალდებულო ლიტერატურა

მიუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელო(ები) ან კონსპექტი/რიდერი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება; მიუთითეთ, სად შეუძლია სტუდენტს ამ ლიტერატურის მოპოვება (ბიბლიოთეკა, ლექტორის პირადი საკუთრება, თავისუფალ გაყიდვაში და ა. შ.) სავალდებულო სახელმძღვანელოთა ჩამოთვლისას მიუთითეთ, ყველა ეს სახელმძღვანელოა საჭიროა ამ კურსის ათვისებისათვის, თუ ისინი ალტერნატიული ვარიანტებია, თუკი ამ სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტს სჭირდება რამოდენიმე ძირითადი სახელმძღვანელო, მაშინ აუცილებლად მიუთითეთ ამ სახელმძღვანელოს რომელი თავები/პარაგრაფებია საჭირო.

(შენიშვნა: მითითებული უნდა იქნეს სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა. ზედმეტი ლიტერატურის მითითებით საკუთარი ერუდირებულობის დემონსტრირება არაეთიკურად ითვლება).

თუ ძირითადი სახელმძღვანელო არ არის ქართულ ენაზე, მაშინ კურსის შესწავლის წინაპირობებში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სტუდენტს მოეთხოვება სახელმძღვანელოს ენის ცოდნა. გაითვალისწინეთ, რომ განსაკუთრებით ბაკალავრიატის დაწყებით სემესტრებში, არ არის რეკომენდირებული მხოლოდ უცხოენოვანი ძირითადი სახელმძღვანელოების გამოყენება (გამონაკლისი უცხო ენების სპეციალობებია).

## დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

მიუთითეთ ყველა ის წიგნი, სამეცნიერო სტატია, ვებ-გვერდი და სხვა სასწავლო მასალა, რომელსაც იყენებთ სწავლებისას.

## სწავლის შედეგი

მიუთითეთ, რა ცოდნასა და უნარებს შეიძენს სტუდენტი ამ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ და როგორ შეეძლება მიღებული ცოდნის გამოყენება. სილაბუსის ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც აქ მოცემული ინფორმაციით უნდა განისაზღვროს, რამდენად სწორად მიმდინარეობს საგნის სწავლება – რამდენად ადეკვატურია სწავლებისა და შეფასების ფორმები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და ა. შ. შეეცადეთ, სწავლის შედეგები აღწეროთ კონკრეტულად.

დასავლეთის უნივერსიტეტებში სპეციალური ლექსიკის გამოყენებაც კი არ არის რეკომენდირებული სწავლის შედეგების აღწერისათვის.

## ბილაბუსის ფორმა

ეს ფორმა უნდა შევსდეს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრანტურის ნებისმიერ სასწავლო კურსისათვის.

მასწავლო კურსის დასახელება	
მასწავლო კურსის კოდი	ოდის მინიჭება სასწავლო-მეთოდური სამსართველოს ფუნქციით
მასწავლო კურსის სტატუსი	ვისთვის არისე ს საგანი გათვალისწინებული: ფაკულტეტი, სწავლის საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრანტურა, დოქტორანტურა), კურსი: სავალდებულო, არჩევითი.
მასწავლო კურსის ხანგრძლივობა	შემესტრის რაოდენობა
ECTS	მოუთითეთ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა; მოუთითეთ საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობაზე გათვალისწინებული საათების რაოდენობა.
ლექტორი	მოუთითეთ ლექტორის სახელი, გვარი,სამუშაო ადგილი (ფაკულტეტი,დებარტამენტი), საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ფაილი). თუ სასწავლო კურსის განხორციელებაში რამოდენიმე ლექტორი/მასწავლებელია ცართული,ეს ინფორმაცია ყველას შესახებ უნდა იქნეს მითითებული.
სასავლო კურსის მიზანი	მოკლედ აღწერეთ კურსის ძირითადი მიზნები და ამოცანები
სასავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	მოუთითეთ, თუ რა ცოდნას უნდა ფლობდეს სტუდენტი, რომ ეს სასწავლო კურსი აითვისოს
სასავლო კურსის ფორმატი	ლექცია / სემინარი / პრაქტიკები / ლაბორატორიული სამუშაო და ა. შ.
სასავლო კურსის შინაარსი	წამოთვალეთ ლექციების / სემინარების თემები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით
შეფასება	მოუთითეთ შეფასების ფორმები: კვლევითი, წერითი (ხეობი) გამოკითხვა, პრეზენტაცია და ა.შ. მოუთითეთ კრიტერიუმები შეფასების ყოველი კონკრეტული ფორმისათვის. ჩხრილის სახით მოუთითეთ საბოლოო შეფასებისათვის თითოეული ამ ასპექტის ხვედრითი წილი. მაგ.
	ასწრება 10%
	კვლევითებში მონაწილეობა 30%
	რეზენტაცია სემინარზე 30%
	შაბოლოო გამოცდა 30%
	შაბოლოო შეფასება 30%
სავალდებულო ლიტერატურა	მოუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელოები ანკომპლექტი, რომლის მიხედვითაც მომდინარეობს სწავლება.
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	მოუთითეთ ყველა ის წიგნი, სამეცნიერო სტატია, ვებ-გვერდი და სხვა სასწავლო მასალა, რომელსაც იყენებთ სწავლებისას.
სწავლის სეფევი	მოუთითეთ, რა ცოდნასა და უნარებს შეიძენს სტუდენტი ამ სასწავლო კურსის გაყვლის შემდეგ.

ეს მხოლოდ მაგალითია. შეფასების პროცენტული განაწილება ყოველი სასწავლო კურსისათვის ინდივიდუალურად უნდა იქნეს მოცემული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**სილაბუსის შემოწმების ფორმა**

სასჯელო კურსი	
ლექტორი	
ფაკულტეტი	
დეპარტამენტი/ინსტიტუტი/მომართულება	
თარიღი	

**1. სილაბუსში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე**

შეესებულება ყველა პუნქტი	
არარის შეესებულები შემდეგი პუნქტები	
ბოლომდე არარის შეესებულები შემდეგი პუნქტები	

**2. შესაბამისობა კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის**

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შესაბამისობა კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**3. შესაბამისობა სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის**

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შესაბამისობა კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**4. შეფასების შესაბამისობა დადგენილ წესთან (მინ. 3 კომპონენტი, მას. 40% საბოლოო გამოცდა და ა.შ.)**

სრული შესაბამისობა დადგენილ წესთან	
შეუსაბამისობა	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**5. სასწავლო კურსის ფორმატი**

ფორმატი შეესაბამისობა კურსის მიზნებს	
ფორმატი არ შესაბამისობა კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**6. სასწავლო კურსის წინაპირობები**

წინაპირობა შეესაბამისობა კურსის მიზნებს	
წინაპირობა არ შესაბამისობა კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**7. ECIS სისტემის სწორი გამოყენება**

კრედიტები აღიკვეთებად ასახავს სტუდენტის დატვირთვას
კრედიტები არ შეესაბამება სტუდენტის დატვირთვას
თანაფარდობა სააუდიტორიო და დამოუკიდებელ მუშაობას შორის ოპტიმალურია

რეკომენდაციები:

**8. სასწავლო კურსის შინაარსი**

არ შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგს
შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგს

რეკომენდაციები:

**9. საფაქტობრივო ლიტერატურა**

შეესაბამება კურსის მიზნებს	
არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები:

**10. დამატებითი ლიტერატურა და სხვა მასალა**

შეესაბამება კურსის მიზნებს	
არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები:

## **ტერმინთა განმარტება**

### **ავტონომია**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი ერთეულების თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიური და ადმინისტრაციული საქმიანობა.

### **აკადემიური ხარისხი/დიპლომი**

აკადემიური ხარისხი ადასტურებს სტუდენტისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მინიჭებულ კვალიფიკაციას. კრედიტების დაგროვების სისტემაში პროგრამა სრულდება სწავლის შედეგების სპეციფიკური ერთობლიობის მიღწევისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის მინიჭების საშუალებით.

### **დიპლომამდელი სწავლება**

დიპლომამდელ სწავლებაში იგულისხმება სწავლის პერიოდი პირველი აკადემიური ხარისხის მიღებამდე.

### **დიპლომის დანართი**

დიპლომის დანართი ოფიციალური აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამატებაა, რომლის მიზანია სწავლების ხასიათის, დონის, კონტექსტის, შინაარსისა და სტატუსის აღწერა, რომელიც განხორციელებულია და წარმატებით არის დასრულებული აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მფლობელის მიერ. მისი საფუძველია ევროკომისიის, ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPES – ის მიერ შემუშავებული მოდელი. იგი აუმჯობესებს საერთაშორისო გამჭვირვალობასა და კვალიფიკაციების აკადემიურ/პროფესიულ აღიარებას.

### **დიპლომის შემდგომი სწავლება**

სწავლების კურსი პირველი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, რომელიც, ჩვეულებრივ, მთავრდება მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

## **დოქტორის ხარისხი**

დოქტორის ხარისხი არის საერთაშორისოდ აღიარებული მაღალი დონის კვალიფიკაცია, რომელიც მის მფლობელს აძლევს კვლევისა და აკადემიური მუშაობის წარმოების უფლებას. დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი სადოქტორო დისერტაცია შეიცავს ორიგინალურ სამეცნიერო კვლევას. 'დოქტორი' ამჟამად განიხილება როგორც აკადემიური ხარისხი, მინიჭებული მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ.

## **ერთობლივი აკადემიური ხარისხი**

ხარისხი, რომელიც ენიჭება მობილურ სტუდენტს ორი (ან მეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

## **კრედიტი**

ECTS-ის შემთხვევაში კრედიტი არის დროის ერთეულში გამოსახული სტუდენტის დატვირთვის ზომა.

## **კრედიტების დაგროვება**

კრედიტების დაგროვების სისტემაში პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად სემესტრის, აკადემიური წლის ან სრული პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა უნდა იყოს მიღებული. კრედიტების მინიჭება და დაგროვება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ სწავლის განსაზღვრული შედეგის წარმატებით დასრულება დადასტურებულია შეფასებით.

## **კრედიტების ტრანსფერი**

მობილური სტუდენტის მიერ მშობლიურ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების გადატანა ურთიერთაღიარების მიზნით.

## კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის (დაგროვების) ევროპული სისტემა (ECTS)

ECTS-ი არის სისტემა, რომლის მიზანია საგანმანათლებლო სისტემების გამჭვირვალობისა და ევროპის რეგიონში სტუდენტთა მობილობის გაუმჯობესება კრედიტების ტრანსფერის საშუალებით. ის ეფუძნება ძირითად დებულებას, რომ აკადემიური წლის განმავლობაში სწავლების საერთო დატვირთვა 60 კრედიტის ტოლია. 60 კრედიტი ნაწილდება კურსებზე და მოდულებზე შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევისათვის სტუდენტის დატვირთვის აღსაწერად. კრედიტის ტრანსფერი გარანტირებულია დეტალური ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერენ სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტი, მასპინძელი უნივერსიტეტი და თავად მობილური სტუდენტი.

### კურიკულუმი

ოიგევა, რაც საგანმანათლებლო პროგრამა. (იხ. ქვემოთ. საგანმანათლებლო პროგრამა).

### მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი

მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება პიროვნებას მეორე საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ. საფეხური შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსაც, ჩვეულებრივ, მეორე საფეხურზე სტუდენტი პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ დაიშვება.

### მობილობა

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ცნობით.

## მობილური სტუდენტი

სტუდენტი, რომელიც აკადემიური ხარისხის მიღებისათვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშობლიური უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ გადის (ქვეყნის შიგნით ან გარეთ).

## პირველი აკადემიური ხარისხი

ბოლონიის დეკლარაციით განსაზღვრული უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს მინიმუმ სამი წლის სწავლის ან 180 კრედიტის დაგროვების შემდეგ.

## საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული. მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, შინაარსსა და მოცულობას, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებს და მეთოდურ უზრუნველყოფას.

## საფეხური

საფეხური წარმოადგენს სწავლების კურსს, რომელიც იძლევა აკადემიურ ხარისხს. ბოლონიის დეკლარაციაში დასახელებული ერთ-ერთი მოთხოვნა არის 'ორ ძირითად, დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება'. ამჟამად დოქტორანტურა მესამე საფეხურად ითვლება.

## სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის მიზანია პირუნიებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების ოპტიმალური პირობების შექმნა.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლება არის იმ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, რომლებზედაც დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ, როგორც წესი, 12 წლიანი საშუალო სკოლის დამთავრების საბუთი ან სხვა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია ან სხვა სახის დასაბუთებული წინასწარი სასწავლო ან/და სამუშაო გამოცდილება. უმაღლესი განათლების განხორციელება შეუძლიათ უნივერსიტეტებს, დარგობრივ უნივერსიტეტებს, კოლეჯებს, პოლიტექნიკურ სასწავლებლებსა და ა.შ.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს); რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს).

## უნარ-ჩვევები

უნარ-ჩვევები არის სწავლის პროცესში ფორმირებული შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება დაიყოს “საგ-ნობრივად” და “ზოგადად”.

## შეფასება

შეფასება არის წერითი, ზეპირი და პრაქტიკული ტესტების/გამოცდების, პროექტებისა და პორტფოლიოს ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება კურსის ან მოდულის ფარგლებში სტუდენტის მიღწევების შესამოწმებლად. შეფასება შეიძლება თვით სტუდენტმა გამოიყენოს საკუთარი მიღწევების შესამოწმებლად (ფორმატული შეფასება) ან უმაღლესმა სასწავლებელმა

იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის დასახულ მიზანს კურსის ან მოდულის ფარგლებში (ჯამური შეფასება).

### **ხარისხი**

სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც სასწავლო პროგრამების შინაარსითა და პედაგოგთა კვალიფიკაციით განისაზღვრება.

### **ხარისხის უზრუნველყოფა**

შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.



თსუ მესხეთის ფილიალი		დანართი №1	
ხელშეკრულების დანართი (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის)			
		სასწავლო წლის I სემესტრი	
პედაგოგი:			
№	კომპონენტი	საათი	შენიშვნა
1	სააუდიტორიო (საკინტაქტო) დატვირთვა		
2	დოქტორების მომზადება		
3	წერითი გამოკითხვის I ვარიანტის შემუშავება		
4	მეთოდურების ქვეშ შესრულებული წერითი ნაშრომის გასწორება		
5	ეგეს (საკოლოქიუმო ნაშრომის) გასწორება		
6	დოქტორანტის სემინარის შეფასება		
7	კონსულტაცია		
8	ახალი სასწავლო კურსის მომზადება		
9	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა		
10	დოქტორანტის ხელმძღვანელობა		
11	დისერტაციის შეფასება (თმონირება)		
12	თარგმნის შესრულება		
13	სამეცნიერო პუბლიკაცია		
14	საუჩიერსიტეტო პუბლიკაციის რედაქტირება		
15	პუბლიკაციის რევენზირება		
16	სახელმძღვანელის შემუშავება		
17	მინიგრაფიის გამოქვეყნება		
18	სახელმძღვანელის ან მინიგრაფიის თარგმნის გამოსაცემად მომზადება-რედაქტირება		
19	წარმატებული საგრანტო პროექტის მომზადება		
20	საუჩიერსიტეტო სამეცნიერო-კლდეითი პროექტის განხორციელება		
21	ფილიალის სახელით სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება		
22	ფილიალის სახელით საკონფერენციო სიტყვის მომზადება		
23	საველე პრაქტიკა		
24	ტუტორიუმი		
25	საპროფესორის მდივნობა		
26	საუჩიერსიტეტო ან საფაკულტეტო კომისიის (კოლეგიის) წევრობა		
27	მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება		

**შესრულებული სამუშაო I სემესტრში**

პედაგოგი:

ფაკულტეტის დეკანი:

ბარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

თარიღი:

**ოსუ მესხეთის ფილიალი**  
**ხელშეკრულების დანართი (პუბლიცარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის)**  
**სასწავლო წლის II სემესტრი**

პედაგოგი:

	კომპინენტი	საათი	შეინშენა
1	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა		
2	დოქტორების მომზადება		
3	წერითი გამოკითხვის I ვარიანტის შემუშავება		
4	მეთოდურების ქვეშ შესრულებული წერითი ნაშრომის გასწორება		
5	ესეს (საკვლეოქეუმი ნაშრომის) გასწორება		
6	დოქტორანტის სემინარის შეფასება		
7	კონსულტაცია		
8	ახალი სასწავლო კურსის მომზადება		
9	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა		
10	დოქტორანტის ხელმძღვანელობა		
11	დისერტაციის შეფასება (თაინირება)		
12	თარგმნის შესრულება		
13	სამეცნიერო პუბლიკაცია		
14	საუნივერსიტეტო პუბლიკაციის რედაქტირება		
15	პუბლიკაციის რეკენზირება		
16	სახელმძღვანელოს შემუშავება		
17	მონოგრაფიის გამოქვეყნება		
18	სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის თარგმნის გამოსაცემად მომზადება-რედაქტირება		
19	წარმატებული საგანაწო პროექტის მომზადება		
20	საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება		
21	ფილიალის სახელით სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება		
22	ფილიალის სახელით საკონფერენციო სიტყვის მომზადება		
23	საველე პრაქტიკა		
24	ტურტორიუმი		
25	საპროფესორის მდივნობა		
26	საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო კომისიის (კოლეგიის) წევრობა		
27	მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება		
	<b>შესრულებული სამუშაო II სემესტრში</b>		
	<b>შესრულებული სამუშაო სასწავლო წლის განმავლობაში</b>		

პედაგოგი:

ფაკულტეტის დეკანი:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

თარიღი:

თსუ მესხეთის ფილიალი		დანართი №1
ხელშეკრულების დანართი (პუბლიცისტურ მუცნიერებათა ფაკულტეტისათვის)		
	სასწავლო წლის I სემესტრი	
პედაგოგი:		
№	კომპონენტი	საათი
1	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა	1
2	დექციების მიმზადება	1
3	წერითი გამოკითხვის I ვარიანტის შემუშავება	4
4	მეთოდურების ქვეშ შესრულებული წერითი ნაშრომის გასწორება	0,25
5	ესეს (საკლავიკიუმო ნაშრომის) გასწორება	1
6	დოქტორანტის სემინარის შეფასება	8
7	კონსულტაცია	1
8	ახალი სასწავლო კურსის მიმზადება	100
9	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	80
10	დოქტორანტის ხელმძღვანელობა	160
11	დისერტაციის შეფასება (თაინირება)	90
12	თარგმნის შესრულება	24-400
13	სამეცნიერო პუბლიკაცია	80
14	საუნივერსიტეტო პუბლიკაციის რედაქტირება	24
15	პუბლიკაციის რეკონსორება	24
16	სახელმძღვანელოს შემუშავება	1000
17	მონოგრაფიის გამოქვეყნება	1200
18	სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის თარგმნის გამოსაცემად მიმზადება-რედაქტირება	1200
19	წარმაცემი საგრანტო პროექტის მიმზადება	80
20	საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება	330-660
21	ფილიალის სახელთ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება	30
22	ფილიალის სახელთ საკონფერენციო სიტყვის მიმზადება	40
23	საველე პრაქტიკა	50
24	ტუტორიუმი	150-300
25	საპროფესორის მდინება	440-880
26	საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო კომისიის (კოლეგიის) წევრობა	60-120
27	მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება	440-880

**შესრულებული სამუშაო I სემესტრში**

პედაგოგი:

ფაკულტეტის დეკანი:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

თარიღი:

## სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია

სტუდენტები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ გადიან რეგისტრაციას – საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების დასაწყისში. სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ ეტაპზე სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ ფილიალის საღაროში ან ბანკში სწავლის საფასურის გადახდას. პირველკურსელები საშემოდგომო რეგისტრაციის დროს ავსებენ სტუდენტის სარეგისტრაციო ანკეტას და ვალდებული არიან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი), პირადობის მოწმობის ასლი, ვაჟებმა უნდა წარმოადგინონ მიწერის მოწმობის ასლი.

რეგისტრაციის მეორე ეტაპზე სტუდენტები გადიან აკადემიურ რეგისტრაციას. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტებს შესაბამის დეკანატებში წარედგინებათ “სასწავლო პროგრამები“ და შესაბამისად, იმ საგანთა ნუსხა, რომლის შესწავლის უფლებაც მან მოიპოვა ამ ეტაპზე გავლილი საგნებისა და დაგროვილი კრედიტების მიხედვით.

ამ ჩამონათვალიდან მან უნდა გააკეთოს არჩევანი მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნებისა. აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტები კონსულტაციებს გადიან ფაკულტეტის ტუტორებთან. სტუდენტს საშუალება ეძლევა დაათვალიეროს მის ფაკულტეტზე არსებული სპეციალობების ნუსხა და თითოეულ სპეციალობაზე არსებული დისციპლინების ჩამონათვალი (როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი). სტუდენტები ასევე აკეთებენ განცხადებებს ცალკეული საგნების მოსმენაზე. საგნის შეთავაზებისას მიმართულების პროფესორი უფლებამოსილია, დააწესოს თავისი საგნის მოსმენის მსურველთა რაოდენობის შეზღუდვა.

სტუდენტი უფლებამოსილია, გამოითხოვოს თავისი განაცხადი და შესაბამისად, უარი განაცხადოს არჩეული საგნის საგამოცდო კომპონენტის ჩაბარებაზე სემესტრის დასაწყისიდან 6 კვირის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ გამოიყენებს ამ უფლებას და ამავე დროს არ გამოცხადდება გამოცდაზე, საგანი არ ჩაითვლება ჩაბარებულად, საგანი ჩაითვლება დავალიანებაში.

სტუდენტი ასევე უფლებამოსილია, ცალკეული საგანი მოისმინოს ხელმეორედ და ჩააბაროს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგამოცდო კომპონენტი. თუ აღნიშნული ხორციელდება შეფასების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტს დამატებითი კრედიტი არ ენიჭება.

ბაკალავრიატის პროგრამით სწავლის განმავლობაში სტუდენტს შეფასების გაუმჯობესების მიზნით ერთი და იმავე საგნის ხელმეორედ მოსმენის უფლება მხოლოდ ორჯერ აქვს.

რეგისტრაციის ვადებს ადგენს ფილიალის დირექცია.

სტუდენტები, რომლებიც ვერ გაივლიან რეგისტრაციას დადგენილ ვადებში, კარგავენ მიმდინარე სემესტრში ლექციებზე დასწრების უფლებას.